

**პიძინა მურვანიძე
დავით მინდორაშვილი
გიორგი გოგოჭური**

მეტალურგიის ახალი კერა ქვემო ქართლში

ქვემო ქართლი გამოირჩევა წიაღისეული სიმდიდრეებით, რაც სხვა მიზე-ზებთან ერთად ამ რეგიონის უძველესი დროიდანვე ინტენსიური ათვისების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. აქაური სპილენძისა და რკინის სა-ბადოების სიხშირე, შეშის დასამზადებლად საჭირო ტყის დიდი მასივის არ-სებობა, ყველა პირობას ქმნიდა მეტალურგიის ჩასახვა-განვითარებისათვის.

ქვემო ქართლში უადრესი ლითონის ნივთები აღმოჩენილია ნეო-ლით-ენეოლითურ ძეგლებზე – ხრამის დიდი გორა, არუხლოს და იმირის გო-რის მრავალფენიანი ნამოსახლარები. აქ გვხვდება ცივად ნაჭედი სპილენძის არტეფაქტები – დანა, მძივები, მავთულის ფრაგმენტი, სპილენძის ნაღვენ-თები და ა. შ. ნამოსახლარებზე მიკვლეულია ტიგელები და სამთო მეტა-ლურგიასთან დაკავშირებული ქვის იარაღები – უროები, ამბოსები და საფეხ-ნელ-საბეგველები. ნამოსახლარებზე მსგავსი ტიპის იარაღების არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ქვემო ქართლში ძვ. VI ათასწლეულში მადანს უკვე სამთო წესით მოიპოვებდნენ.¹

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქართულ-გერმანული ექსპედიციის მიერ 2004-2013 წლებში მიკვლეულია სამთო მეტალურგიული წარმოების კერები და სახელოსნოები. დაბა კაზრეთის სიახლოვეს გაითხარა საყდრის-ყაჩაღიანის მაღაროები, სადაც ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევ-რიდან მოიპოვებდნენ ოქროს. მაღაროებში აღმოჩნდა ათი ათასზე მეტი სამთო იარაღი (უროები, ამბოსები, საფხვნელ-სასრესები) და ადრებრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭლის შვიდ ასეულამდე ნატეხი. სამთო ობიექტიდან ორ კილო-მეტრში, სოფ. ბალიჭებთან, ადგილ ძეგვებში ექსპედიციამ მიაკვლია მრავალ-ფენიან ნამოსახლარს. გაირკვა, რომ იქ უცხოვრიათ საყდრის-ყაჩაღიანის სამ-თო მაღაროების, რაზეც მეტყველებს ნამოსახლარზე სახელოსნო უბნების, ქურების, სამუშაო იარაღებისა და სახელოსნოში საყდრისიდან მოტანილი, დაფხვნილ-დაქუცმაცებული, გამდიდრებული მაღნის გროვების არსებო-ბა. ძეგვების ნამოსახლარის გვიან ენეოლითურ ფენებში გამოვლინდა თიხის ტიგელები და რაც მთავარია ცულ-წერაქვის ყალიბი, რომლის ანალოგები ცნობილია ჩრდილო-დასავლეთ ირანიდან. აღნიშნული ფაქტები დასტურია

¹ ლამბაშიძე (და სხვა), უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში, გვ. 98-99.

იმისა, რომ ქვემო ქართლი უძველესი დროიდან წარმოადგენდა სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების მნიშვნელოვან რეგიონს.¹

ლითონის სადნობი სახელოსნოები რეგიონში შემდგომ პერიოდშიც გვხვდება – წინარეანტიკური ხანიდან მოკიდებული, ვიდრე XIX ს-ის დასას-რულამდე.² რკინისა და სპილენძის სადნობი ქურებია გამოვლენილი მდ. ალ-გეთის მარცხენა შენაკად ბოგვისწყლის ხეობაში. არქეოლოგიური გათხრებით დგინდება, რომ აქაური წარმოება ემყარებოდა ბოგვისავე რკინის საბადოს.³ სპილენძის რამდენიმე მაღარო იყო ცნობილი მდ. ალსტაფურას ხეობაში. სპილენძის მაღაროთა სიმრავლით განსაკუთრებით დებედას ხეობა გამოირჩეოდა. რკინის მადნით მდიდარი იყო ბოლნისის ხეობა, სადაც შემორჩენილია სხვადასხვა პერიოდის მაღაროები.⁴ მდიდარია წიაღისეულით მაშავერას აუზი.⁵ რეგიონში სპილენძისა და რკინის მადნის მოპოვება-გამოდნობაზე მოგვითხრობდა ვახუშტი ბაგრატიონი – „სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა“.⁶ ტაშირში „მისხანას ითხრების ლითონი სპილენძისა მრავალი“.⁷ აბულმუგთან დაკავშირებით კი იგივე ავტორი აღნიშნავდა, რომ „აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაქვარდისა“.⁸ მეტალურგიულ წარმოებასთანა დაკავშირებული ქვემო ქართლის ტოპონიმიაში შემორჩენილი სახელები – სარკინეთის ხევი, რკინის მთა; ჰიდრონიმები – რკინის წყალი, ფოლადაური.⁹

გასული საუკუნის 60-იან წლებში მეტალურგიული წარმოების მნიშვნელოვანი კერა გამოვლინდა ქვემო ქართლში სოფ. განთიადთან (დმანისის რ-ნი). იქ შესწავლილ იქნა „მელითონის სამარხი“, რომელშიც აღმოჩნდა ქვის ექვსი ყალიბი. ყალიბებში ჩამოისხმებოდა ე. ნ. აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპის ცულები და წელში გამოყვანილი სიმეტრიულმხრებიანი ბრტყელი ცულები. არტეფაქტები დათარიღდა ძვ. ნ. IX-VIII სს-ით.¹⁰

¹ *The Gold of Sakdrisi*, გვ. 72-73, 96, 108-109.

² ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 11.

³ გველიშვილი, *Железоплавительное производство в древней Грузии*, გვ. 75-80.

⁴ გველიშვილი, *Железоплавительное производство в древней Грузии*, გვ. 17-19, 31; ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 12.

⁵ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გვ. 147; ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 13.

⁶ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 311₃₋₄.

⁷ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 313₅₋₆.

⁸ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 315₁₉₋₂₀.

⁹ ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, გვ. 12.

¹⁰ ავალიშვილი, ქვემო ქართლი, გვ. 39-41.

2020 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქი-ფანიის სახელობის არქეოლოგიური კვლევების ინსტიტუტის ექსპედიციამ (ხელმძღ. ბ. მურვანიძე) დაზვერვითი სამუშაოები ჩაატარა მარნეულის მუნიციპალიტეტში რამდენიმე ობიექტზე მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჩაყოლებით.¹

საველე კვლევა-ძიებისას ექსპედიციამ ამ მიდამოებში გამოავლინა სხვადასხვა პერიოდისა და ხასიათის არაერთი საინტერესო არქეოლოგიური ძეგლი,² რომელთა შორის გამოიჩინა სოფ. პირველ ქესალოსთან მდინარისპირა მაღალ ფლატეზე მიკვლეული ნამოსახლარის ნაშთი (ტაბ. I.).

აღნიშნულ ტერიტორიაზე³ საძიებო სამუშაოების დაწყებამდე, ფლატის ჭრილში მიწის ზედაპირიდან 2 მ. სიღრმეზე თავიდანვე ჩანდა 0,20-0,30 მ. სიმძლავრის დამწვარი კულტურული ფენა. ჭრილის განმენდისას მასში აღმოჩნდა ლეგა ფერის ქოთნების ნატეხები, რომელთაგან ზოგიერთი შემკული იყო ირიბი ნაჭდევების სარტყელით (ტაბ. I_{3,4,5}). აქვე გამოვლინდა ჭურჭლის ზოომორფული ყური (ტაბ. I₆), აგრეთვე ტაფისმაგვარი ჭურჭლის პირ-ყურისა და ძირდაკეჭნილი ჭურჭლის ნატეხი (ტაბ. I_{7,8}). რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩამოთვლილ არტეფაქტებთან ერთად, ფლატის ჭრილში მიკვლეულ იქნა სატეხის ჩამოსასხმელი მოგრძო სწორკუთხა ფორმის ქვის ყალიბი (ტაბ. I₂).⁴ ყალიბის ღარი ნახევარწრიულია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მასში წრიული განივევეთის მქონე სატეხები ისხმებოდა. ფლატის ჭრილის დამწვარ ფენაში შეინიშნებოდა თიხის ოვალური მოხაზულობის მასა, რომელიც სავარაუდოდ ლითონის სადნობი ქურის ნაშთი შეიძლება იყოს.

ფლატის კიდიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით გაკეთებულ თხრილში აღმოჩნდა ლეგა-მოშავო ფერის კერამიკული ნანარმი: სადლვებლის ნატეხი (ტაბ. I₉), ამოღარული ხაზებით შემკული დერგები (ტაბ. I_{10,13}), ქოთნები, ჯამი და სხვ. (ტაბ. I_{11,12,14-17}). უეჭველია, ფლატის ჭრილში და საძიებო თხრილში მიკვლეული მასალა ერთი ძეგლიდან მომდინარე არტეფაქტებია.

ფლატის ჭრილში ქვის ყალიბთან ერთად აღმოჩენილი კერამიკიდან აღსანიშნავია ძირდაკეჭნილი ჭურჭლი (ტაბ. I₉). ამგვარი კერამიკა საკმაოდ ადრეულ პერიოდში ჩნდება და არსებობას დიდხანს განაგრძობს. ძირდაკეჭნი-

¹ სამუშაოები განპირობებული იყო მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირის ჩაყოლებით მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძების მშენებლობით.

² მინდორამვილი, მურვანიძე, გოგოჭური, არქეოლოგიური დაზვერვები მარნეულის მუნიციპალიტეტში, გვ. 203-227.

³ ნასახლარის გეოგრაფიული კოორდინატები: E 503147, N 4583177.

⁴ ყალიბის ზომები: სიგრძე 12,5 სმ., სიგანე 4,5-5,4 სმ., სისქე 2,2-2,4 სმ. საკუთრივ ყალიბის სიგრძე 12,5 სმ-ია, სიგანე 1,5 სმ., სიღრმე 1,1 სმ. სატეხს ერთ გვერდზე აქვს მოგრძო ღარი. ღარის ზომები: სიგრძე 8,5 სმ., სიგანე 0,8 სმ., სიღრმე 0,6 სმ.

ლი ჭურჭელი აღმოჩენილია: ცხინვალის ნაცარგორაზე,¹ უფლისციხეში (ყათლანისევი),² ხოვლეს ნამოსახლარზე (V-IV ფენები),³ მცხეთაში,⁴ ქვემო ქართლში,⁵ კახეთში⁶ და სხვ.

ფლატის ჭრილში აღმოჩნდა აგრეთვე ჭურჭლის ზოომორფული ყური (ტაბ. I). ზოომორფულყურიანი ჭურჭელი ხშირად გვხვდება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებულ ძეგლებზე.⁷

რაც შეეხება სატეხის ქვის ყალიბს, მსგავსი ყალიბები აღმოჩენილია ცხინვალის ნაცარგორის II-III ფენებში, რომელთა ზედა თარიღი თავის დროზე განისაზღვრა ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით.⁸

სოფ. პირველ ქესალოსთან მიკვლეული ძირდაკეჭნილი და ზოომორფულყურიანი ჭურჭელი, სატეხის ქვის ყალიბი და სხვა ნივთები პარალელებს პოულობს აღმოსახლეთ საქართველოს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ძეგლებზე აღმოჩენილ არტეფაქტებთან. შესაბამისად, კულტურულ ფენაში მიკვლეული მასალის თარიღი ამავე პერიოდით, უფრო კონკრეტულად VIII-VII სს-ით შეიძლება განისაზღვროს.

ჩატარებული ლაბორატორიული კვლევის შედეგად ყალიბის სამუშაო ზედაპირზე გამოვლინდა ბრინჯაოს ეროზის კვალი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასში ბრინჯაოს სატეხები ისხმებოდა.⁹

სოფ. პირველ ქესალოსთან მიკვლეული ქვის ყალიბი იმის უტყუარი დასტურია, რომ ნამოსახლარზე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მელითონეთა სახელოსნო არსებულა. ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისიდან რკინის იარაღებს უკვე გაბატონებული მდგომარეობა უკავია, მაგრამ ამ დროს ისხმება საუკეთესო ხარისხის ბრინჯაოს ნივთები და ბრინჯაოს მელითონეობა უმაღლეს ხარისხს აღწევს. ამ პერიოდისათვის იქმნება დიდი სახელოსნოები, რომლებიც ზოგჯერ ცალკე უბნებადაა გამოყოფილი.¹⁰

¹ გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, გვ. 252, 268.

² ხახუტამშვილი, უფლისციხე, გვ. 47, ტაბ. XXI.

³ მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, ტაბ. XXXVII_{392-61-N}.

⁴ კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები, კატ. №261, 282, 284.

⁵ ავალიშვილი, ქვემო ქართლი, გვ. 31, ტაბ. II₂.

⁶ ფიცხელაური, ოორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა კულტურა, გვ. 60; პიცხელაური, *Локализация археологических культур на территории Восточной Грузии*, გვ. 172.

⁷ ავალიშვილი, ქვემო ქართლი, გვ. 67; ცქინტიშვილი (და სხვა), კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიცია, გვ. 57, გვ. 51-60, ტაბ. IV.

⁸ გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, გვ. 250, 268-269, ტაბ. VI₂, XVII₅.

⁹ ყალიბი ლაბორატორიულად გამოიკვლია საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრაცია-კონსერვაციის კვლევითი ინსტიტუტის პირველადი დამუშავების ლაბორატორიის ხელმძღვანელმა თეა კინწურაშვილმა.

¹⁰ ავალიშვილი, ქვემო ქართლი, გვ. 60-61.

ფართო არქეოლოგიური კვლევა-ძიების ჩატარებამდე, ძნელი სათქმე-ლია ახლად მიკვლეულ ნამოსახლარზე მელითონის სახელოსნო საცხოვრე-ბელი არეალიდან ცალკე იყო გამოყოფილი თუ არა. სადღესოდ გადაჭრით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მეტალურგიული წარმოების მდიდარი ტრადიციებით გამორჩეულ ქვემო ქართლის რეგიონს შეემატა ახალი კერა, რომლის საფუძვლიანი შესწავლა კიდევ უფრო გაამდიდრებს ჩვენს ცოდნას მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის შესახებ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

ვახუშტი ბაგრატიონი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა – ვახუშტი ბაგრატიონი, აღნერა სამეფოსა საქართველოსა „ქართლის ცხოვრება“ ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხხიშვილის მიერ, თბილისი, 1973.

გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში – გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბილისი, 1964.

ავალიშვილი, ქვემო ქართლი – ავალიშვილი გ., ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბილისი, 1974.

ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან – ბერძენიშვილი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვეთი I, თბილისი, 1979.

გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა – გობეჯიშვილი გ., სტალინირის ნაცარგორა, „მიმომხილველი“, ტ. II, 1951.

კალანდაძე, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები – კალანდაძე ალ., მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები (უძველესი დროიდან ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე), „მცხეთა“, ტ. IV, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, 1980.

მინდორაშვილი, მურვანიძე, გოგოჭური, არქეოლოგიური დაზვერვები მარნეულის მუნიციპალიტეტში – მინდორაშვილი დ., მურვანიძე ბ., გოგოჭური გ., არქეოლოგიური დაზვერვები მარნეულის მუნიციპალიტეტში, კრ. „კავკასიის არქეოლოგიის საკითხები“, თბილისი, 2021, გვ. 203-227.

მუსხელიშვილი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა – მუსხელიშვილი დ., ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბილისი, 1978.

ფიცხელაური, ოორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა კულტურა – ფიცხელაური კ., ოორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა კულტურა, თბილისი, 1965.

ლამბაშიძე (და სხვა), უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში – ლამბაშიძე ირ., მინდიაშვილი გ., გოგოჭური გ., კახიანი კ., ჯაფარიძე ირ., უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ. წ. VI-III ათასწლეულებში, თბილისი, 2010.

ცქიტიშვილი (და სხვა), კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიცია – ცქიტიშვილი გ., გვეტაძე ჯ., კვაჭაძე მ., კვიტაშვილი რ., მახარაძე ზ., კასპის რაიონის არქეოლოგიური ექსპედიცია, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბილისი, 2004.

ხახუტაშვილი, უფლისციხე – ხახუტაშვილი დ., უფლისციხე //, თბილისი, 1970.

The Gold of Sakdri – The Gold of Sakdri, Mans first gold mining enterprise; ხაყდრისის ოქრო – კაცობრიობის პირველი ოქროს სამთო წარმოება, Edited by Irina Gambashidze and Th. Stöllner, Bochum, 2016.

Гзелишвили, Железоплавительное производство в древней Грузии – Гзелишвили И. А., Железоплавительное производство в древней Грузии, Тбилиси, 1964.


Пицхелаури, Локализация археологических культур на территории Восточной Грузии – Пицхелаури К. Н., Локализация археологических культур на территории Восточной Грузии (конец II – начало I тысячелетия до н. э.), „Труды Кахетской археологической экспедиции“ I, Тбилиси, 1969.

**Bidzina Murvanidze
David Mindorashvili
Giorgi Gogochuri**

A New Centre of Metallurgy in Kvemo Kartli

In 2020, the expedition of the Otar Lortkipanidze Institute of Archaeological Studies of the Georgian National Museum undertook a reconnaissance survey (led by B. Murvanidze) in the Marneuli municipality on the right bank of the river Mtkvari (Tab. I₁). Near the village of Pirveli Kesalo, a stone mould for chisel was discovered along with pottery (Tab. I₂). Laboratory research revealed that bronze chisels were cast into the mould. Archaeological material dates back to the 8th-7th centuries BC (Tab. I₃₋₁₇)

The stone mould found on the site indicates that in the 8th-7th centuries BC there was a metal workshop in this area. Thus, in the region of Kvemo Kartli, famous for the production of metal, another metallurgical centre has been discovered.



ილუსტრაციის აღწერა:

ტაბ. I. 1. სოფ. პირველ ქესალოსთან მიკვლეული ნასახლარი. საძიებო თხრილები. ტოპოგრეგმა. 2. ფლატის ჭრილში აღმოჩენილი ქვის ყალიბი. 3-8. ფლატის ჭრილში აღმოჩენილი კერამიკა. 9-17. საძიებო თხრილში აღმოჩენილი კერამიკა.

Illustration description:

Tab. I. 1. A settlement discovered near the village of Pirveli Kesalo. Trial trenches. Topo plan. 2. A stone mould for chisel found in the ravine section. 3-8. Pottery found in the ravine section. 9-17. Pottery found in the trial trench.